27/07/2026

MES 9 26 0000979588

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 13 ივლისს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=87226025037
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში –საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
დავით ჯინჭარაძე – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);
ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ხათუნა ცერცვაძე – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);
გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:
ზაირა ბერიძე
თინათინი მეფარიშვილი
ეკა ბუთხუზი
ნინო ქიტიაშვილი
შორენა ალაგარდაშვილი

დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საზოგადმოებრივი კოლეჯი კავკასიონი
დირექტორი - რაინდი ლომაია

შპს "პროფიუნიტი"
ხარისხის მართვის კოორდინატორი - იანდი შეყილაძე
იურისტი - ნინო დარბაიძე
ხარისხის სპეციალისტი - დავით ბუჭუხიშვილი
სასწავლო პროცესებისა და საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი - ლელა ბიწაძე
საქმისმწარმოებელი - მარინა წერეთელი
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი - ასმათი მუმლაძე

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია
დირექტორი - შორენა უზუნაძე
იურისტი - მეგი ბაკურიძე
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - მზია ბაკურიძე

შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯი
დირექტორი - გარი ჩაფიძე
ხარისხის მართვის მენეჯერი - ნატო ესიავა

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის

მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის მონიტორინგის შესახებ საკითხის განმეორებითი განხილვა;
2. შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განმეორებითი განხილვა;
3. შპს პროფიუნიტის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს საზოგადოებრივი კოლეჯ კავკასიონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის მონიტორინგის შესახებ საკითხის განმეორებითი განხილვა;

საქმის წინარე გარემოებების შესახებ, საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, აღნიშნა, რომ 2026 წლის 25 ივნისის სხდომაზე საბჭომ იმსჯელა აკადემიის მონიტორინგის დასკვნაზე, სადაც ინდიკატორი 5.1.2.1 შეფასებული იყო, როგორც ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამო. დაწესებულება შესაბამისობის გეგმის საფუძველზე ითხოვდა მონიტორინგის ვადის გაგრძელებას 2026 წლის 30 სექტემბრამდე. საბჭომ, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული არ წარმოადგენდა მონიტორინგის პირველ შემთხვევას, იმავე სხდომაზე ვერ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება ვადის გაგრძელების თაობაზე და დაწესებულებას განუსაზღვრა ვადა 2026 წლის 6 ივლისამდე, რა ვადაშიც დაწესებულებას ცენტრისთვის უნდა წარედგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ოფიციალური სახანძრო უსაფრთხოების შუალედური დასკვნა, რომლის საფუძველზეც საბჭო იმსჯელებდა მონიტორინგის ვადის გაგრძელების შესაძლებლობაზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2026 წლის 6 ივლისის №334 სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი, რომლის მიხედვითაც შენობა-ნაგებობა კვლავ ვერ აკმაყოფილებდა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებს ორი კონკრეტული კომპონენტის გამო: პირველ სართულზე ჩასასვლელში მოსაწყობი იყო კიბის საფეხურები და მოაჯირი, ხოლო მეორე სართულზე ღია კიბის უჯრედში არსებული გათბობა-გაგრილების აგრეგატი შესაფერის ადგილზე გადასატანი,/დასამონტაჟებელი იყო ისე, რომ გასასვლელი ბილიკის სიგანე ყოფილიყო არანაკლებ 110 სმ. შემოწმების მომენტში ვერ მოხერხდა დიზელ-გენერატორის მუშაუნარიანობის ტექნიკური შემოწმება. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას განმარტებისთვის, თუ რატომ ითხოვდნენ ხარვეზების აღმოფხვრისთვის 2026 წლის 30 სექტემბრამდე ვადას, როდესაც აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება დიდ დროს არ მოითხოვდა. დაწესებულების წარმომადგენელმა, შორენა უზუნაძემ, განმარტა, რომ დასკვნის მიღებისთანავე ორივე ხარვეზი ფაქტობრივად აღმოფხვრეს (დერეფანი შეფუთეს, გასასვლელი

გააფართოვეს, ხოლო გენერატორი გამართულ მდგომარეობაშია). მან აღნიშნა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს უკვე განმეორებით მიმართეს შემოწმების მოთხოვნით (განაცხადის №2470722) და მოითხოვეს დაჩქარებული, 7-დღიანი მომსახურება. მისი თქმით, 30 სექტემბრამდე ვადის გაგრძელების თხოვნა ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ ფორსმაჟორული და ადმინისტრაციული რისკების დაზღვევას (მაგალითად, ზაფხულის შვებულებების პერიოდი), რათა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან ვიზიტის დაყოვნების შემთხვევაში კოლეჯი არ აღმოჩნდეს ართანაბარ პირობებში.
ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ ეს არის აკადემიისთვის მიცემული უკანასკნელი შესაძლებლობა. მან გააფრთხილა დაწესებულება, რომ დადგენილი ვადის გადაცილების ან განმეორებითი უარყოფითი დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში, საბჭო იმსჯელებს უკიდურესი ღონისძიების – ავტორიზაციის გაუქმების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „ბათუმის სამედიცინო აკადემიაში“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში (ს/კ: 245419355) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 13 ივლისი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს „ბათუმის სამედიცინო აკადემიაში“. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი, ხოლო მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 30 სექტემბერი.

საბჭოს წევრო ხათუნა ცერცვაძე შემოუერთდა სხდომას.

მეორე საკითხი: შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განმეორებითი განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, აღნიშნა, რომ საკითხის განხილვა გადაიდო წინა სხდომაზე, რათა ექსპერტთა ჯგუფს (ალინა კუპრავა, ეკა ბუთხუზი, თათია გივიშვილი) წერილობით წარმოედგინა გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციების არგუმენტირებული დასაბუთება, ხოლო დაწესებულებას – დამატებითი მტკიცებულებები ვიზიტის შემდგომ განხორციელებულ აქტივობებზე. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მეხუთე სტანდარტის 5.1.2.1 ინდიკატორთან მიმართებით გაცემული იყო შესაბამისობის რეკომენდაცია, რომლის გამოსწორებაც, შესაბამისობის გეგმით, გათვალისწინებული იყო 2026 წლის 30 ნოემბრამდე („ნაწილობრივი შესაბამისობა“), ხოლო 5.2.2.1 და 5.2.2.2 ინდიკატორებთან მიმართებით დაფიქსირებული იყო „მეტწილი შესაბამისობა“ (ეხებოდა ელექტრონულ საქმისწარმოებასა და ხელშეკრულებების აღრიცხვიანობას). ვინაიდან დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადებითი დასკვნა, თავმჯდომარემ დააყენა წინადადება 5.1.2.1 ინდიკატორზე შესაბამისობის რეკომენდაციის მოხსნის თაობაზე, ხოლო

5.2.2.1 და 5.2.2.2 ინდიკატორებზე შესაბამისობის რეკომენდაციების ძალაში დატოვების შესახებ.
ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტებებთან დაკავშირებით თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ექსპერტები შეეცადნენ დასკვნის სტანდარტებზე მორგებას და არა სტანდარტის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახსნა-განმარტების გაკეთებას. კერძოდ, განხილულ იქნა დაწესებულების ხედვასთან დაკავშირებული განმავითარებელი რეკომენდაცია. თავმჯდომარემ განმარტა, რომ ავტორიზაციის კონტექსტში ხედვა უნდა იყოს რეალისტური, გაზომვადი და დასაბუთებული. ექსპერტთა მიერ შეთავაზებული ცვლილება, რომელიც მხოლოდ ზმნის ფორმას ცვლიდა („2032 წლისთვის კოლეჯი არის“ ნაცვლად დაწესებულების ფორმულირებისა „2032 წლისთვის კოლეჯი გახდეს“), არ წარმოადგენდა შინაარსობრივად გაუმჯობესებულ ვერსიას. თავმჯდომარემ მიუთითა, რომ ცენტრის სახელმძღვანელო რეკომენდაციების თანახმად, ხედვა სამომავლო, სასურველ მდგომარეობას უნდა აღწერდეს, რის გამოც დაწესებულების ვერსია უფრო გამართული იყო, ვიდრე ექსპერტების მიერ შეთავაზებული აწმყო დროის ფორმა. ამასთან, თავმჯდომარემ ყურადღება გამახვილა დაწესებულების ხედვაში არსებულ ფრაზაზე: „კოლეჯი ღირსეულ ადგილს დაიკავებს სამედიცინო მიმართულების კოლეჯების რეიტინგში“. მან ხაზი გაუსვა, რომ საქართველოში პროფესიული კოლეჯების ოფიციალური ეროვნული რეიტინგი ან რანჟირების სისტემა არ არსებობს. შესაბამისად, არაგაზომვადი და არარეალისტური ჩანაწერების ხედვაში არსებობა შინაარსობრივი ხარვეზია.
კოლეჯის დირექტორმა, გარი ჩაფიძემ განმარტა, რომ კოლეჯის მიზანია გახდეს ერთ-ერთი მოწინავე დაწესებულება სამედიცინო განათლების დაწყებით საფეხურზე (საექთნო განათლების მიმართულებით). მან დაადასტურა, რომ ოფიციალური სარეიტინგო ბაზა არ არსებობს და აღნიშნული ცნება ხედვაში გამოყენებული იყო პირობითად, სხვა კოლეჯებთან შედარებით აქტიური პოზიციის დაკავების კონტექსტში. მან ასევე აღნიშნა, რომ კოლეჯის ეგიდით უკვე გამოიცა სამი პროფესიული წიგნი და დაწესებულება მზად არის მაღალ დონეზე უზრუნველყოს სასწავლო პროცესი.
თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რატომ მიიჩნიეს ზმნის ფორმის ცვლილება განმავითარებელ რეკომენდაციად, ექსპერტმა ეკა ბუთხუზმა განმარტა, რომ გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, ხოლო ხედვაში ზმნის არასწორი გამოყენება ტექნიკურ ხარვეზად ჩათვალეს, რომელიც დაწესებულებამ გაიზიარა. თავმჯდომარემ მიუთითა, რომ სტანდარტის მიხედვით დაწესებულების თავდაპირველი ფორმულირება (მომავალ დროში) უფრო გამართული იყო, ვიდრე ექსპერტთა მიერ შეთავაზებული აწმყო დროის ფორმა, ხოლო არსებით კითხვებზე (მაგალითად, რეიტინგთან დაკავშირებით) ექსპერტებს ყურადღება არ გაუმახვილებიათ. აღინიშნა, რომ ზმნის ცვლილება ვერ ჩაითვლება განმავითარებელ რეკომენდაციად და დაწესებულებას რეალურად არსებითი, გამოსასწორებელი ხარვეზები გააჩნია.
საბჭოს თავმჯდომარე გადავიდა 1.2.1.3 ინდიკატორის განხილვაზე, რომელიც ეხება დაგეგმვისას მისიასთან თავსებადი მიზნების, ამოცანების, ვადებისა და შესრულების ინდიკატორების განსაზღვრას. თავმჯდომარემ განმარტა, რომ „შესრულების ინდიკატორი“ გულისხმობს გაზომვად (რაოდენობრივ ან ხარისხობრივ) საზომ ერთეულს, რომლის გარეშეც იგი კარგავს ფუნქციურ დანიშნულებას. არაგაზომვადი ინდიკატორების არსებობა წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნის შინაარსობრივ შეუსრულებლობას და არა ფორმალურ ხარვეზს. თავმჯდომარემ გააკრიტიკა ექსპერტის წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც ყურადღება გამახვილებული იყო დოკუმენტის ფორმალურ არსებობაზე და არა მის შინაარსზე, რის გამოც შეფასებას ზედაპირული ხასიათი აქვს.
საბჭოს წევრმა, ხათუნა ჩხარტიშვილმა, შეკითხვით მიმართა დაწესებულებას წარმოდგენილ დამატებით დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, სადაც მითითებული იყო სამი პროფესიული მასწავლებლის დამატება. მან ითხოვა განმარტება, თუ რა მიმართულებით დაემატნენ აღნიშნული პედაგოგები და როგორი იყო მათი წინარე გამოცდილება. დაწესებულების

დირექტორმა, გარი ჩაფიძემ, განმარტა, რომ კოლეჯში იურიდიულ საგნებსა და ბიზნესის ადმინისტრირებას ასწავლიდნენ ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები (იურიდიული და ლოჯისტიკის სამსახურის ხელმძღვანელები). აღნიშნული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, ადმინისტრაციის წარმომადგენლები გათავისუფლდნენ საათობრივი პედაგოგიური დატვირთვისგან, ხოლო საათები გადანაწილდა ახლად აყვანილ სამ პროფესიულ მასწავლებელზე (ორი ბიზნესის ადმინისტრირებისა და ერთი სამართლის მიმართულებით).
საბჭოს მდივნის, ნათია ბუთხუზისა და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ხათუნა ჩხარტიშვილის დამაზუსტებელ შეკითხვებზე – თუ რამდენად შეესაბამებოდა განმახორციელებლების პროფილი სამედიცინო კოლეჯის სპეციფიკას და ჰქონდათ თუ არა შესაბამისი მოდულების გაძღოლის გამოცდილება – გარი ჩაფიძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ განმახორციელებლებს უნდა წაეკითხათ „სამართლებრივი ასპექტები“ და „საქმისწარმოების მენეჯმენტი“. მან ხაზი გაუსვა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება მათ მიერ სხვა კოლეჯებში მუშაობის 5-დან 7 წლამდე პედაგოგიური სტაჟი და შესაბამისი კვალიფიკაცია.
სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ერთობლივი წერილობითი ახსნა-განმარტება ცენტრში 19 ივნისს შემოვიდა. 1.2.1.3 ინდიკატორთან დაკავშირებით ექსპერტებმა მიუთითეს, რომ დარღვევას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან დაწესებულებას ყველა კომპონენტი განსაზღვრული ჰქონდა. ექსპერტთა შეფასებით, საკითხი ეხებოდა არა ინდიკატორების არარსებობას, არამედ მათ ხარისხობრივ გაუმჯობესებასა და გაზომვადობის ხარისხის ზრდას, რის გამოც გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მაინც გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და წარმოადგინა დაზუსტებული ინდიკატორები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დააზუსტა ცენტრის პოზიცია – წარმოადგენდა თუ არა ცენტრი მხარეს, რომელიც ექსპერტთა ნაცვლად იძლეოდა განმარტებებს. ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ ცენტრი თავს შეიკავებდა მესამე მხარედ პოზიციონირებისგან, ვინაიდან საბჭოს დავალება გაცემული იყო უშუალოდ ექსპერტებისა და დაწესებულების მიმართ, ხოლო ცენტრის წარმომადგენელმა მხოლოდ არსებულ დოკუმენტაციაში დაფიქსირებული პოზიცია გაახმოვანა.
ექსპერტმა ეკა ბუთხუზმა წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის ერთობლივი პოზიცია 1.2.1.3 ინდიკატორთან დაკავშირებით. მან განმარტა, რომ კოლეჯის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში იდენტიფიცირებული იყო ამოცანები, ვადები, ინდიკატორები, აქტივობები და რესურსები, რაც სტანდარტის ძირითად მოთხოვნას აკმაყოფილებდა. თუმცა, სიღრმისეული ანალიზისას გამოვლინდა, რომ ცალკეული ინდიკატორები (მაგალითად, მეორე სტანდარტში) საჭიროებდა მეტ დაკონკრეტებასა და რაოდენობრივ თუ ხარისხობრივ კრიტერიუმებზე დაფუძნებას. ექსპერტის განმარტებით, ვინაიდან ინდიკატორების ბაზა არსებობდა, აღნიშნული გარემოება არ ჩაითვალა ხარვეზად და გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია მართვის პრაქტიკის შემდგომი დახვეწისა და გაძლიერების მიზნით.
საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ყურადღება გამახვილა ავტორიზაციის სტანდარტების იმპერატიულ მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული პერსონალის საათობრივი სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი მკაცრად უნდა იყოს რეგულირებული დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით (მაგ. შინაგანაწესით). თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ ამ ჩანაწერის არარსებობის შეფასება „განმავითარებელ რეკომენდაციად“ არასწორია და წარმოადგენს სტანდარტის პირდაპირ დარღვევას.
შემდეგ ეტაპზე საბჭოს თავმჯდომარემ განიხილა 2.2.1.2 ინდიკატორი, რომელიც ეხება ადმინისტრაციული პერსონალის სასწავლო დატვირთვის რეგულირებას. თავმჯდომარემ ციტირება გააკეთა ცენტრის სარეკომენდაციო განმარტებებიდან, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული პერსონალის სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი აუცილებლად უნდა იყოს განსაზღვრული და დარეგულირებული დაწესებულების შიდა მარეგულირებელი

დოკუმენტით. მან მიმართა ექსპერტს შეკითხვით, თუ რატომ შეფასდა აღნიშნული რეგულაციის არარსებობა განმავითარებელ რეკომენდაციად და არა შესაბამისობის რეკომენდაციად (ხარვეზად). ექსპერტმა ეკა ბუთხუზმა განმარტა, რომ დაწესებულების შრომითი ხელშეკრულებებით რეგულირდებოდა დამატებითი სამუშაოს შესრულებისა და ანაზღაურების პირობები (ზედმეტად ნამუშევარი საათების 5%-ით გაზრდილი ტარიფით ანაზღაურება). ვინაიდან კანონმდებლობა არ კრძალავს შეთანხმების საფუძველზე დამატებითი ფუნქციების დაკისრებას, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ უფლება არ დარღვეულა და გასცა განმავითარებელი რეკომენდაცია შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში საკითხის ასახვის თაობაზე. თავმჯდომარემ განმარტა, რომ საკითხი ეხებოდა არა დამატებითი შრომის აკრძალვას, არამედ სტანდარტის პირდაპირ მოთხოვნას – ზღვრის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერას, რის გამოც ექსპერტის შეფასება იყო არასწორი.

ამავე ინდიკატორთან მიმართებით თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ცვლილებაზე, რომლითაც ადმინისტრაციის სასწავლო დატვირთვის ზღვრად განისაზღვრა კვირაში არაუმეტეს 5 საათი, თუმცა შინაგანაწესში (მე-10 მუხლის მე-7[1] პუნქტი) ჩაიწერა, რომ მეცადინეობის ჩატარება შესაძლებელია შესვენების პერიოდში. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება შრომის კანონმდებლობასა და თავად დაწესებულების შინაგანაწესის იმავე მუხლის მე-12 პუნქტს, რომლის მიხედვითაც შესვენების დრო სამუშაო დროში არ ითვლება. დაწესებულების დირექტორმა, გარი ჩაფიძემ, განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი უკვე მოგვარდა ახალი პედაგოგების აყვანით და ადმინისტრაციული პერსონალის საათობრივი დატვირთვისგან გათავისუფლებით, ხოლო შიდა რეგულაციები აუცილებლად მოყვანილი იქნება კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს გარემოება წარმოადგენდა ჩვეულებრივ შესაბამისობის რეკომენდაციას (ხარვეზს) და არა განმავითარებელ რეკომენდაციას.

შემდგომში თავმჯდომარემ განიხილა 3.2 კომპონენტი, რომელიც ეხება სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმებს. მან აღნიშნა, რომ სტანდარტი და ცენტრის სახელმძღვანელო მოითხოვს ინიცირების პროცედურის, განხილვის ვადების, შერჩევის კრიტერიუმების, არგუმენტირებული უკუკავშირისა და პასუხისმგებელი პირების დეტალურ განსაზღვრას. ექსპერტთა დასკვნაშივე ფიქსირდებოდა, რომ ეს ელემენტები არ იყო განსაზღვრული, რის გამოც გაუგებარი იყო, რატომ შეაფასეს ექსპერტებმა ეს საკითხიც მხოლოდ განმავითარებელი რეკომენდაციით. ექსპერტმა ეკა ბუთხუზმა განაცხადა, რომ მექანიზმი ნაწილობრივ არსებობდა, რის გამოც ჩაითვალა განმავითარებელ რეკომენდაციად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ახალ რეგულაციასთან დაკავშირებით, სადაც მიეთითა ინიციატივის „ზეპირი ან წერილობითი ფორმით წარდგენა“, თავმჯდომარემ დასვა კითხვა, თუ როგორ უზრუნველყოფდა კოლეჯი ზეპირი ინიციატივის რეგისტრაციას, განხილვის ვადების ათვლასა და მიკვლევადობას. ასევე, რა ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმებით შეაფასებდა კოლეჯი საკითხის „აქტუალობას“ კონკურენტული ინიციატივების არსებობისას, რათა გამოირიცხოს ადმინისტრაციის მხრიდან სუბიექტური გადაწყვეტილებები.

გარი ჩაფიძემ განმარტა, რომ ზეპირი ინიციატივები შემდგომში გაფორმდებოდა წერილობით, ხოლო პროექტების შერჩევა მოხდებოდა სტუდენტთა ინტერესებისა და კოლეჯის მიზნების გათვალისწინებით. თავმჯდომარემ მიუთითა, რომ ზეპირი ფორმა საქმისწარმოების წესებს ეწინააღმდეგება, ხოლო შეფასების კრიტერიუმები წინასწარ უნდა იყოს გაწერილი და ცნობილი სტუდენტებისთვის, რათა უზრუნველყოფილ იყოს პროცესის გამჭვირვალობა. გარი ჩაფიძემ დაადასტურა, რომ დაწესებულება გაითვალისწინებს აღნიშნულ შენიშვნებს.

საბჭო გავიდა სათათბირო ოთახში.

თათბირის დაწყება 13:20

თათბირის დასრულება 13:30

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 1.2.1.3, 3.2.1.4 და 2.2.1.2 ინდიკატორები, საბჭოს გადაწყვეტილებით შეიცვალა და შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან ექსპერტთა თავდაპირველი შეფასება ეწინააღმდეგებოდა პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტებისა და ინდიკატორების მოთხოვნებს. თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულება ვალდებულია აღნიშნული ინდიკატორები გამოასწოროს არა ფორმალურად და ზედაპირულად, არამედ შინაარსობრივად და გააზრებულად, რისთვისაც კოლეჯმა სერიოზულად უნდა იმუშაოს წარმოდგენილ შენიშვნებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯს (ს/კ: 406520126) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 13 ივლისი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს „რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯში“ 1.2, 2.2, 3.2 და 5.2 კომპონენტებში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი (ქ. რუსთავში), ხოლო მონიტორინგის განხორციელების ვადად განისაზღვროს 2026 წლის 31 აგვისტო.

სხდომაზე გამოცხადდა 10 წუთიანი შესვენება.
დაწყება: 13:35
დასრულება: 13:45

მესამე საკითხი: შპს პროფიუნიტის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო ქიტიაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 15 მაისის N5763546 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს კოლეჯ პროფიუნიტში და ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა), ე.ბ) და ე.გ) კომპონენტების შემოწმება. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 28 და 29 მაისს შპს კოლეჯ პროფიუნიტში (ქ. ჭიათურა, გ. თხელიძის ქ. №29).). ვიზიტი განხორციელდა გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა დაწესებულებაში არსებული მეთოდოლოგიები და დანერგილი პრაქტიკა. ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები.
მონიტორინგის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო წინა ვიზიტისას დაფიქსირებული ხარვეზებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობას, სადაც დადასტურდა ყველა მიმართულების სრული აღმოფხვრა. კერძოდ, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების კუთხით **(ინდიკატორი 5.1.2.1)** , 2026 წლის 15 აპრილის №160 შემოწმების აქტით დადასტურდა შენობის შესაბამისობა მოქმედ ნორმებთან; საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა **(ინდიკატორი 5.1.2.3)** შეესაბამება საქართველოს მთავრობის №452 დადგენილებას და შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (2025 წლის 14 მაისის წერილი); ხოლო პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად **(ინდიკატორი 5.1.2.2)** 2025 წლის 3 თებერვლიდან უვადო ხელშეკრულებით დასაქმებულია კვალიფიციური ექთანი და მოქმედებს მარკირებული სამედიცინო ყუთი. საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მონაცემთა დაცვის ნაწილში **(ინდიკატორი 5.2.1.2)**, 2024 წლის 1 ოქტომბრიდან უვადო ხელშეკრულებით დასაქმებულია IT სპეციალისტი, რომელმაც განახორციელა UPS-ების აკუმულატორების შეცვლა, როუტერების განახლება და ქსელური ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ხოლო რაც შეეხება **ინდიკატორს 5.2.1.3,** 2025 წლის 17 მარტიდან დაინიშნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და ამოქმედდა შესაბამისი პოლიტიკა. **ინდიკატორი 5.2.1.4 –** დაწესებულებაში დასაქმებული IT სპეციალისტი მუდმივად

და რეგულარულად ახორციელებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, eFlow ხარისხის უზრუნველყოფის PDCA ციკლის პრინციპით. IT პროცესებისა და ტექნიკის ეფექტიანობის პრაქტიკული შეფასება და განვითარება დასტურდება IT სპეციალისტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით, მოხსენებითი ბარათებითა და შესრულებული სამუშაოს აქტებით სისტემისა და ვებგვერდის მონიტორინგს.

ინდიკატორი 5.3.1.1 – მონიტორინგის ვიზიტისას დაწესებულებამ სრულად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ნაკისრი აქტივობების მტკიცებულებები. აღდგენილ იქნა სრული წვდომა საბუღალტრო პროგრამასთან და წარმოდგენილ იქნა 2024-2025 და 2025-2026 სასწავლო წლების საერთო და პროგრამული ბიუჯეტები. ექსპერტთა ჯგუფს მიეცა სრული შესაძლებლობა, დეტალურად შეესწავლა კოლეჯის ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა.

ინდიკატორი 5.3.1.2 – დაწესებულებამ სრულად აღმოფხვრა აღნიშნული ხარვეზი, ბუღალტერთან ინტერვიუს შედეგად და შესაბამისი პროგრამის შემოწმებით დადასტურდა, რომ აღდგენილია სრული წვდომა საბუღალტრო დოკუმენტაციასთან. ექსპერტებს წარედგინათ წლიური საერთო და თითოეული პროგრამის დეტალური ბიუჯეტები, რაც ადასტურებს, რომ

ინდიკატორი 5.3.1.3 – ფინანსური დოკუმენტაცია (ბიუჯეტი, პროგრამების ბიუჯეტი, შესყიდვების დოკუმენტაცია) სრულად იქნა წარმოდგენილი და შესწავლილი. შემოსავლების სამსახურის გადამხდელთა პორტალის გადამოწმებით დადასტურდა რეგულარული საოპერაციო და კომუნალური გადახდები.

მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის კომპონენტში (5.1) დადგინდა, რომ კოლეჯი განთავსებულია შპს „პროფიუნიტის“ საკუთრებაში არსებულ 3570,8 კვ.მ ფართობის ოთხსართულიან შენობაში (პირველ და მეორე სართულებზე), სადაც მოწყობილია თეორიული და კომპიუტერული აუდიტორიები, დარგობრივი კაბინეტები, ადმინისტრაციული სივრცეები, არქივი, ბიბლიოთეკა და სანიტარული კვანძები. შენობა აღჭურვილია ცენტრალური და ელექტრო გათბობით, უწყვეტი წყალმომარაგებით, ვენტილაციით, ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ხოლო სველი წერტილები სრულად ადაპტირებულია შშმ პირთა საჭიროებებზე. მატერიალური ბაზით სარგებლობის, შრომის უსაფრთხოებისა და სასწავლო მასალებით შეუფერხებელი მომარაგების პროცესები რეგულირდება დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებული შიდა წესებით, სადაც რესურსების შეფასება და განვითარების გეგმის შემუშავება მიმდინარეობს სასწავლო პროცესის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, ხარისხის მართვის კოორდინატორის მონიტორინგით. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მატერიალური და ელექტრონული ფონდების ხელმისაწვდომობას, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ასახულია შესაბამის კატალოგში. შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე წესრიგსა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დარაჯი და ვიდეოსათვალთვალო კამერების სისტემა.

საინფორმაციო რესურსების მართვისა და საქმისწარმოების კომპონენტში (5.2) დადასტურდა, რომ კოლეჯის IT ინფრასტრუქტურა და პროგრამული უზრუნველყოფა სრულად პასუხობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ საჭიროებებს. დაწესებულებაში დანერგილია IT რისკების მართვისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, ხოლო პროცესების ეფექტიანობა ფასდება PDCA ციკლის პრინციპით. სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია Wi-Fi ქსელი, Office 365, eFlow სისტემა და ოფიციალური საკომუნიკაციო არხები (Gmail, Facebook, SMS). საქმისწარმოება წარიმართება 2024 წლის 12 იანვრის №01/24 ბრძანებით დამტკიცებული წესის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და eFlow სისტემის გამოყენებით, სადაც სარეგისტრაციო ჟურნალები წარმოებს ზონარგაყრილი და დალუქული ფორმით. კოლეჯი სრულყოფილად აწარმოებს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (რეესტრს) და მჭიდროდ თანამშრომლობს მეთვალყურე უწყებებთან. საზოგადოებასთან ურთიერთობა ხორციელდება ოფიციალური ვებგვერდისა (www.profiuniti.ge) და სოციალური ქსელების მეშვეობით, სადაც განთავსებულია უტყუარი

ინფორმაცია და ყოველწლიურად განახლებადი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (2013 წლიდან დღემდე), ხოლო მიღებული უკუკავშირი გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
ფინანსური რესურსების კომპონენტში (5.3) ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ დაწესებულება სრულიად მდგრადია და მისი ბიუჯეტი ხასიათდება ზრდადი დინამიკით. კოლეჯის შემოსავლები ფორმირდება სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსებითა და სწავლის საფასურით. სამივე მოქმედი პროფესიული პროგრამა სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულად ფინანსდება, ხოლო „ჯორჯიან მანგანეზში“ დასაქმებული სტუდენტების სწავლას ფარავს აღნიშნული კომპანია. ფინანსურ სტაბილურობასა და დივერსიფიკაციას დამატებით ამყარებს თანამშრომლობის ხელშეკრულებები შპს „ჭიათურა მენეჯმენტ კომპანისთან“ (30.10.2024) და შპს „ჭიათურა გამამდიდრებელ ქარხანასთან“ (02.02.2026). წარმოდგენილი 2024-2025 და 2025-2026 წლების ბიუჯეტებით დასტურდება შრომის ანაზღაურების, პროფესიული განვითარების, სასწავლო მასალების, იჯარისა და კომუნალური საოპერაციო ხარჯების სრული დაფინანსება. დაწესებულება ახორციელებს ფინანსური მდგომარეობის სისტემატურ მონიტორინგს, აქვეყნებს სამოქმედო გეგმის ანარიშებს და ეფექტიანად რეაგირებს შეფასების შედეგებზე.
შპს „პროფიუნიტის“ ადმინისტრაციამ დაადასტურა, რომ სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მონიტორინგის შედეგად არ გამოვლენილა არანაირი ხარვეზი, არ გაცემულა სავალდებულო თუ განმავითარებელი რეკომენდაციები, და შეფასებული მეხუთე სტანდარტის ყველა კომპონენტი და ინდიკატორი ცნობილ იქნა ავტორიზაციის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

თავმჯდომარემ დასვა კითხვა კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამების („სამთო ელექტროტექნიკოსი“, „სამთო ელექტრომექანიკოსი“ და „სასარგებლო წიაღისეულის გამდიდარების ტექნოლოგია“) დაფინანსების მოდელთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა, იანდი შეყილაძემ, განმარტა, რომ კოლეჯს მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს რეგიონში მოქმედ მსხვილ საწარმოებთან (შპს „ჯორჯიან მანგანეზი“, შპს „ჭიათურა მენეჯმენტ კომპანი“ და „ახალი ქარხანა“). მისი თქმით, სახელმწიფო ვაუჩერი დაახლოებით 90%-ით აფინანსებს სწავლას, ხოლო დანარჩენ ნაწილს (თითო პროგრამაზე წელიწადში 1125 ლარს, თვეში 100 ლარის ოდენობით) აფინანსებენ აღნიშნული პარტნიორი კომპანიები. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, დააზუსტა, რომ მოქმედი კანონმდებლობითა და მთავრობის დადგენილებით, სახელმწიფო ვაუჩერი სრულად ფარავს პროგრამების დადგენილ თვითღირებულებასა და პედაგოგთა შრომის ანაზღაურებას (როგორც საჯარო, ისე კერძო კოლეჯების შემთხვევაში). მან განმარტა, რომ კერძო კოლეჯებს, საჯარო სასწავლებლებისგან განსხვავებით, არ ეძლევათ დამატებითი სახელმწიფო ინსტიტუციური/პროგრამული დაფინანსება, რის გამოც პარტნიორი ქარხნებიდან მიღებული აღნიშნული ფინანსური რესურსი მიმართული უნდა იყოს არა სტუდენტის სწავლის საფასურის შევსებაზე, არამედ კოლეჯის საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარად. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პარტნიორული თანადაფინანსება ხმარდება კოლეჯის ადმინისტრაციულ უზრუნველყოფას.
საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დადებითად შეაფასა კოლეჯის მიერ გაწეული სამუშაო და აღნიშნა, რომ სასწავლებლის მიერ განხორციელებული სამთო-მოპოვებითი მიმართულების პროგრამები განსაკუთრებით სტრატეგიული და მნიშვნელოვანია ქვეყნისა და ჭიათურის რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პროფიუნიტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს პროფიუნიტში (ს/კ: 204436985) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 13 ივლისი.

მეოთხე საკითხი: შპს საზოგადოებრივი კოლეჯ კავკასიონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თინათინ მეფარიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ – 2026 წლის 14 და 20 აპრილს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოვიდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ,,კავკასიონის“ წერილები (№ 00006395), (№ 00006692) შეტყობინების

მიზნით, სადაც აღნიშნული იყო რომ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „საექთნო საქმე“ ახორციელებს ორ მისამართზე – ქ. ქუთაისსა და ქ. თბილისში. პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის ქუთაისში გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 9 პარტნიორ ორგანიზაციასთან, ხოლო ქ. თბილისის შემთხვევაში – 4 პარტნიორ ორგანიზაციასთან. აღნიშნული პრაქტიკის ობიექტები სრულად უზრუნველყოფენ სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელებას. თუმცა, ქვეყანაში არსებული ექთნების დეფიციტის გათვალისწინებით, დამატებით ორგანიზაციებმა ქუთაისის განყოფილებაში – შპს „ჯეოჰოსპიტალსი“, შპს „უნიქალმედი“, „ააიპ საქველმოქმედო ფონდი კარიტასი“ და შპს „ჰოსპიტალსერვისი“, ხოლო თბილისის განყოფილებაში – შპს „ჯეოჰოსპიტალსი“ და სს „ჯერარსი“ – გამოთქვეს თანამშრომლობის მზაობა. აღნიშნული თანამშრომლობა ითვალისწინებდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ ფარგლებში პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას პარტნიორ ორგანიზაციებში. შესაბამისად, შეთანხმების შედეგად მოხდა ხელშეკრულებების გაფორმება პრაქტიკის ბაზებთან, რის საფუძველზედაც განხორციელდა ცვლილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „საექთნო საქმე“. ცენტრმა აღნიშნული გარემობა არაგეგმიური მონიტორინგის საფუძვლად მიიჩნია ქალაქ ქუთაისის ლოკაციაზე და სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 1 მაისის № 516723 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ''საექთნო საქმე'' ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით 2026 წლის 19 მაისს განახორციელა არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ კავკასიონში (მის.: ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2). ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი წერილების, მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე შეაჯერა პოზიციები, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი და დაწესებულებისთვის წარსადგენად მიაწოდა იგი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ვიზიტი ჩატარდა წინასწარ შეჯერებული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი შევხვდა დაწესებულების დირექტორს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, კერძოდ: ხარისხის უზრუნველყოფაზე, დაწესებულების ადამიანური რესურსების, მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებს, სასწავლო ნაწილის წარმომადგენლებს, ასევე სხვა ადმინისტრაციულ პერსონალს.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა დეტალურად გამოიკვლიეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა, მატერიალური და საბიბლიოთეკო რესურსები, ჩაატარეს გასაუბრებები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ასევე მოინახულეს პრაქტიკის 3 ობიექტი და ერთთან განახორციელეს სატელეფონო კომუნიკაცია. დაწესებულების მიერ დადასტურდა 2023 წლის ივნისის ვიზიტისას გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციების სრული შესრულება: სტუდენტთა აქტიური ჩართულობისთვის დამატებით მოეწყო A გარემო და სწავლება ორ ჯგუფად წარიმართა **(ინდიკატორი 2.1.1.3),** ხოლო მოდულებში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები და საკანონმდებლო ბაზა (მათ შორის ინფექციის კონტროლის გაიდლაინები) სრულად განახლდა **(ინდიკატორი 2.1.1.4).** პროგრამის პარამეტრების მიხედვით, საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 288-ს, საიდანაც აქტიურია 253 სტუდენტი, სტატუსშეჩერებული – 37, ხოლო სტატუსშეწყვეტილი – 4. ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის მოცულობა განსაზღვრულია 180 კრედიტით, ხოლო არაქართულენოვანთათვის – 210 კრედიტით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსების შეფასებისას (სტანდარტი 2.2), ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ კოლეჯს უზრუნველყოფილი აქვს შესაბამისი თეორიული A და B სასწავლო გარემოები, სადაც 2 A გარემო აღჭურვილია 48 სტუდენტზე (ორ ცვლაში 96 პირზე). კლინიკური მოდულების განხორციელება მიმდინარეობს პარტნიორ სამედიცინო დაწესებულებებში, სადაც დაცულია ინსტრუქტორისა და სტუდენტის მოთხოვნილი 1/7

ფარდობა. კოლეჯი თანამშრომლობს მრავალპროფილურ კლინიკებთან (შპს „ქუთაისის ცენტრალური საავადმყოფო“, შპს „კლინიკა ლჯ“, შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“, შპს „წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ქსენონი“, შპს „კლინიკა ბომონდი“, შპს „ქუთაისის №2 სამშობიარო სახლი“, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“). დამატებით გაფორმებული ხელშეკრულება „ააიპ საქველმოქმედო ფონდ საქართველოს კარიტასთან“ (რეგისტრირებული მისამართზე: ქ. ქუთაისი, ნიუპორტის ქ. №8, 16.02.2024 გადაწყვეტილება №MOH 12400188729) სრულად აკმაყოფილებს სტანდარტებს „შინმოვლისა“ და „ავადმყოფის მოვლის“ მოდულებისთვის და იძლევა დამატებით 48 სტუდენტის მიღების შესაძლებლობას (3 ცვლაში 16 სტუდენტი). პრაქტიკის ობიექტებზე წარმოებს ყოველდღიური დასწრების აღრიცხვა, მოქმედებს საექთნო პრაქტიკის პროტოკოლები და შესრულების ჩეკ-ლისტები.
ადამიანური რესურსის თვალსაზრისით, პროგრამას ახორციელებს 22 კვალიფიციური მასწავლებელი (5 ზოგადი და 17 დარგობრივი), რომელთაგან 2 პირი უშუალოდ პარტნიორი ორგანიზაციიდან არის დასაქმებული. პერსონალის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. მასწავლებლები აკმაყოფილებენ შიდა დებულებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით დადგენილ კრიტერიუმებს (უმაღლესი/პროფესიული განათლება, მინიმუმ 3 წლის პრაქტიკული სტაჟი), პერიოდულად გადიან ტრენინგებს შეფასების მეთოდოლოგიასა და IT უნარებში, ხოლო მათი საქმიანობა რეგულარულად ფასდება გამოკითხვებისა და შიდა მონიტორინგის გზით. საგანმანათლებლო პროგრამას უძღვება შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე კვალიფიციური ხელმძღვანელი (პროფესიით ფერშალი, მოქმედი პრაქტიკოსი, 3 წელზე მეტი გამოცდილებით), რომელიც აქტიურადაა ჩართული მოდულებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში.
სასწავლო პროცესის ორგანიზების კუთხით, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯში თეორიული სწავლება მიმდინარეობს ჰიბრიდულ რეჟიმში Teams-ის პლატფორმის გამოყენებით (საკონტაქტო საათი 45 წუთი, ლექციები იწერება), ხოლო შეფასებები ტარდება მხოლოდ აუდიტორიულად. დაწესებულებას დირექტორის 2025 წლის 17 დეკემბრის №00027433 ბრძანებით დამტკიცებული აქვს დისტანციური სწავლების წესი. თუმცა, მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №143/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, კოლეჯს დისტანციური ფორმატის ცვლილების თაობაზე ოფიციალურად არ მიუმართავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის. დაწესებულების განმარტებით, ისინი ელოდებოდნენ სტანდარტის ცვლილებას, რის შემდეგაც გეგმავდნენ შესაბამისი განაცხადის წარდგენას.
საგანმანათლებლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში (რომელიც აღჭურვილია კომპიუტერებით, ბეჭდური და ციფრული ფონდით) და ელექტრონული ფოსტით. ინკლუზიური განათლების მიმართულებით, კოლეჯს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ჰყავს სპეციალისტი; პროგრამაზე ირიცხება 1 სსსმ სტუდენტი, რომლის მონიტორინგის მასალებმა დაადასტურა სასწავლო პროცესში წარმატებული ინტეგრაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროების გარეშე. ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ვაუჩერული დაფინანსებით, სადაც პროგრამის რენტაბელობის ზღვარი 15 სტუდენტს შეადგენს. წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა შეფასებული მე-2 სტანდარტის კომპონენტი 2.2 და მისი ყველა ინდიკატორი მიიჩნია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.
საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, დასვა კითხვა განმახორციელებელთა გადამზადების სპეციფიკასა და მეთოდოლოგიაზე, კერძოდ, ეხებოდა თუ არა ეს პროცესი დარგის

სპეციალისტებს და ვინ უზრუნველყოფდა დარგობრივ სიახლეებზე ინფორმაციის მიწოდებას. კოლეჯ „კავკასიონის“ დირექტორმა, რაინდი ლომაიამ, განმარტა, რომ კოლეჯს არსებულ 9 პარტნიორ კლინიკასთან ერთად დაემატა კიდევ 4 ახალი სამედიცინო დაწესებულება. პროგრამის ხელმძღვანელები და პრაქტიკული კომპონენტის ძირითადი საკვანძო კადრები არიან უშუალოდ კლინიკების უფროსი ექთნები. ვინაიდან მათ საუკეთესოდ იციან კლინიკური სტანდარტები და მოთხოვნები, სწორედ ისინი უზრუნველყოფენ დარგობრივი პერსონალის გადამზადებასა და სიახლეების გაზიარებას. ამასთან, უფროსი ექთნები თავად არიან თეორიული და პრაქტიკული მოდულების განმახორციელებლები. ავტორიზაციის ექსპერტმა, თინათინ მეფარიშვილმა, დაამატა, რომ დაწესებულება რეგულარულად ატარებს გამოკითხვებს პერსონალის საჭიროებების გამოვლენის მიზნით (მაგ. ელექტრონული სისტემების, MS Teams-ის გამოყენება, შეფასების ინსტრუმენტები) და უზრუნველყოფს შესაბამის ტრენინგებს. მან ხაზი გაუსვა კლინიკების უფროს ექთნებსა და კოლეჯს შორის არსებულ მჭიდრო, „ჯაჭვურ“ კომუნიკაციას.

რაინდი ლომაიამ აღნიშნა, რომ პრაქტიკის პროცესში თითოეულ სტუდენტზე ივსება სპეციალური ჩეკლისტები (დღიურები), სადაც გაწერილია მოდულით გათვალისწინებული ყველა კომპეტენცია. კომპეტენციების დადასტურება ხდება უფროსი ექთნის უშუალო მეთვალყურეობით, სასწავლო ნაწილისა და პრაქტიკის ობიექტის მჭიდრო თანამშრომლობით. ექსპერტმა დაადასტურა, რომ ადგილზეც და კოლეჯშიც დეტალურად გადამოწმდა აღნიშნული ჩეკლისტები და ვერიფიკაციის ოქმები, სადაც ხარვეზები არ გამოვლენილა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა, დასვა კითხვა ჰიბრიდული სწავლების მეთოდოლოგიასა და პრაქტიკული უნარების ონლაინ რეჟიმში გადაცემის ეფექტიანობაზე. თინათინ მეფარიშვილმა განმარტა, რომ ისეთი სპეციფიკური და პრაქტიკული მოდულები, როგორიცაა ჭრილობების დამუშავება და მანიპულაციები, დისტანციურად არ ტარდება. MS Teams პლატფორმაზე ხორციელდება მხოლოდ იმ თეორიული კომპეტენციების სწავლება, რაც დაშვებულია სტანდარტით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტთა შეფასება ხდება ექსკლუზიურად ადგილზე, ფიზიკურ გარემოში. კოლეჯს გაწერილი აქვს დისტანციური სწავლების შიდა წესი და აწარმოებს ვიდეოჩანაწერებისა და დასწრების სქრინების არქივს. საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, იკითხა რამდენად ლეგიტიმურია კოლეჯის მიერ დისტანციური კომპონენტის გამოყენება, როდესაც დაწესებულებას არ აქვს მიღებული ოფიციალური ნებართვა პროგრამის დისტანციურად განხორციელებაზე. ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, და ცენტრის თანამშრომელმა, ნინო ხელაძემ, განმარტეს, რომ მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების საფუძველი იყო მხოლოდ 53-ე მუხლით გათვალისწინებული შეტყობინება სწავლის შედეგების განხორციელების ადგილის (ახალი პრაქტიკის ობიექტების) დამატებაზე. დისტანციურ სწავლებაზე დაწესებულებას ოფიციალური განაცხადი არ გაუკეთებია. ექსპერტებმა ეს გარემოება ვიზიტისას, გამოკითხვისას დააფიქსირეს და ასახეს დასკვნაში, თუმცა მისი სამართლებრივი შეფასება სცილდებოდა მონიტორინგის განსაზღვრულ ფარგლებს. ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ №143/ნ ბრძანების შესაბამისად, ვინაიდან გამოვლინდა დისტანციური სწავლების ფაქტი შესაბამისი წინასწარი ინფორმირების, ნებართვის გარეშე, ცენტრი უფლებამოსილია გამოითხოვოს დოკუმენტაცია და ცალკე ჩანიშნოს მონიტორინგი დისტანციური სწავლების კომპონენტზე.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, იკითხა, თუ რა პროფესიულმა საჭიროებამ გამოიწვია 4 ახალი ობიექტის (მათ შორის „კარიტასის“) დამატება, როდესაც კოლეჯს ისედაც 9 პარტნიორი კლინიკა ჰყავდა.

რაინდი ლომაიამ განმარტა, რომ 9 ობიექტი სრულად აკმაყოფილებდა არსებულ კვოტას, თუმცა ახალი ობიექტების, განსაკუთრებით „კარიტასის“ შინმოვლის ბაზის, დამატება ემსახურება სტუდენტებისთვის პრაქტიკული არეალისა და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას, ასევე პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფას. კლინიკების მხრიდან არსებობს კადრების მწვავე

დეფიციტი და მაღალი დაინტერესება, რომ კოლეჯის კურსდამთავრებულები ადგილზე დასაქმდნენ.

საბჭოს თავმჯდომარის, ელენე კაკაბაძის, კითხვაზე „კარიტასთან“ ექსკლუზიურ თანამშრომლობაზე, დირექტორმა დააზუსტა, რომ ეს არ არის ექსკლუზივი, უბრალოდ მოცემულ ეტაპზე „კარიტასმა“ ქალაქ ქუთაისში ახლახან მოაწყო შესაბამისი სასწავლო გარემო (A და C გარემოებები) და კოლეჯმა პირველმა გააფორმა მათთან ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საზოგადმოებრივ კოლეჯ კავკასიონში(ს/კ: 412683813) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ''საექთნო საქმე''განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 13 ივლისი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:16 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა N5
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210